

განმარტებითი ბარათი

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განპირობებულია 2010 წელს ჩასატარებელი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების შედეგად არჩეული თვითმმართველობის ორგანოებისათვის ისეთი სამართლებრივი ბაზის შექმნის საჭიროებით, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მათთვის დაკისრებულ უფლებამოსილებების ეფექტურ განხორციელებას, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელ ორგანოებს შორის ურთიერთობას და თანამშრომლობას, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში სახელმწიფოს ვალდებულებების ეფექტიანი შესრულების უზრუნველყოფას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების შედეგად არჩეული თვითმმართველობის ორგანოებისათვის სამართლებრივი ბაზის ისეთ დახვეწას, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მათთვის დაკისრებულ უფლებამოსილებების ეფექტურ განხორციელებას, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელ ორგანოებს შორის ურთიერთობას და თანამშრომლობას, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში სახელმწიფოს ვალდებულებების ეფექტიანი შესრულების უზრუნველყოფას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით აღმოიფხვრება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში არსებული ზოგიერთი ხარვეზი, ასევე ხდება სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მათთვის დაკისრებულ უფლებამოსილებების ეფექტურ განხორციელებას, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელ ორგანოებს შორის ურთიერთობას და თანამშრომლობას, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში სახელმწიფოს ვალდებულებების ეფექტიანი შესრულების უზრუნველყოფას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:
კანონპროექტის ავტორები არიან - საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, ზვიად კუკავა, ლაშა თორდია, გიორგი მელაძე, აკაკი მინაშვილი და ვანო ხუხუნაიშვილი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:
კანონპროექტის ინიციატორები არიან - საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, ზვიად კუკავა, ლაშა თორდია, გიორგი მელაძე, აკაკი მინაშვილი და ვანო ხუხუნაიშვილი.